ელექტრონული მმართველობის როლი ტრანზიტული დემოკრატიის განვითარებაში - ესტონეთისა და საქართველოს შედარებითი ანალიზი

ნანა ბურჭულაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (მიმართულება - საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად (ამასთან, აღნიშნული ნაშრომის ნაწილები გამოყენებულია მზადების პროცესში „აკადემიური წერისა“ და „კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია პოლიტიკის მეცნიერებებში“ სამაგისტრო კურსის ფარგლებში).

ნანა ბურჭულაძე

25/06/2021

აბსტრაქტი

ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების მართვის სისტემაში დანერგვა მზარდი ტენდენციაა. სამეცნიერო დისკურსის თანახმად, ელექტრონული მმართველობის დანერგვა და განვითარება, მთავრობის ანგარიშვალდებულების, ინსტიტუტთა გამჭვირვალობის, ელექტრონული თანამონაწილეობის ზრდით, ხელს აძლევს ქვეყანაში ელექტრონული დემოკრატიის განვითარებას. კორუფციის რისკის შემცირებით იზრდება სახელწმიფო ინსტუტებისადმი მოქალაქეთა ნდობა.

მოცემული ნაშრომი ემსახურება, ტრანზიტულ დემოკრატიაზე ელექტრონული მმართველობის როლის კვლევით, აღნიშნულ დებულებათა შემოწმებას. კვლევის თვისებრივი მეთოდი წარმოაჩენს გარდამავალი დემოკრატიის დაჩქარებაში ელექტრონული მმართველობის დადებით ფაქტორებს. ხოლო რაოდენობრივი მეთოდი ეხმარება შედეგების აღწერასა და გამყარებას.

კვლევაში დეტალურადაა განხილული ელექტრონული, როგორც კარგი მმართველობის, გარდამავალი დემოკრატიის მნიშვნელობა, ისტორიული განვითარება, ელ-მმართველობის კარგი პრაქტიკა. აგრეთვე მისი გავლენა ტრანზიტულ დემოკრატიაზე, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. ბოლოს, წარმოჩენილია ძირითადი მახასიათებლები, რომელთაც განაპირობა ესტონეთის დაჩქარებული დემოკრატიული წინსვლა. კვლევა, ესტონეთისა და საქართველოს შედარებითი ანალიზით, ცდილობს დაადგინოს, რა სახის კავშირი არსებობს ელექტრონული მმართველობის კარგ პრაქტიკასა და ტრანზიტული დემოკრატიის დაჩქარებას შორის ყოფილ საბჭოთა სოციალისტურ სახლემწიფოებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ელ-მთავრობა, ელ-მმართველობა, ელექტრონული თანამონაწილეობა, ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები, ბლოქჩეინი, ელექტრონული დემოკრატია, ციფრული იდენტობა, ინტერნეტ-თავისუფლება

Abstract

Implementation of information-communication technologies in the governing system is an ever-growing tendency. According to scientific discourse, the establishment and refinement of electronic governance leads to the development of electronic democracy, through raising the levels of government accountability, transparency of institutions, electronic participation. Reducing the risk of corruption increases citizens' trust in state institutions.

The paper serves to examine the given provisions by defining the role of e-governance in transitive democracy. A qualitative method of research puts forward the positive factors of e-governance in accelerating a transitional democracy. Whereas the quantitative method helps to describe and increase the validity of the results.

The study presents a detailed discussion of electronic governance as a good governance method, historical development of e-governance and transitive democracy, the good practice of electronic governance. As well as its impact on transitive democracy in Eastern European countries. In the end, the paper presents the main feature factors that have led the Estonian state towards a speedy democratic transition. The study, through a comparative analysis of Estonia and Georgia, seeks to determine whether there is a link between good e-governance practices and the acceleration of transitive democracy in the two former Soviet socialist states.

Keywords: e-Government, e-Governance, Electronic Participation, Information and Communication Technologies, Blockchain, Electronic Democracy, Digital Identity, Internet Freedom

მადლობა

პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ ნინო ფავლენიშვილს, კვლევის დიზაინში, შედეგების ანალიზისას და თემის არჩევისას რჩევებისთვის, ასევე მუშაობის პროცესში დახმარებისთვის. მადლობა მინდა გადავუხადო, ერასმუსის გაცვლითი პროგრამის მანძილზე, გერმანიის (ზიგენის) უნივერსიტეტში პროფესორ დოქტორ კაიზერ რობერტსა და პროფესორ დოქტორ ლაჰუსენ კრისტიანს კონსტრუქციული კრიტიკისა და რჩევებისათვის, ისევე როგორც კვლევის თანახელმძღვანელ, პროფესორ დოქტორ ზიგრიდ ბარინგჰორსტს, კვლევაზე მუშაობის პროცესში მხარდაჭერის გამხატვისათვის. პროფესორ ზურაბ ჭიაბერაშვილს მინდა მადლობა გადავუხადო რჩევებისთვის საქართველოს დემოკრატიული ტრანზიციის სფეროში, აგრეთვე რიგი მასალების მოწოდებისათვის. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო პროფესორ ტილმან კულკეს, მაგისტრატურის მანძილზე მენტორობის გაწევისთვის, მოცემული რჩევებისა და მხარდაჭერისთვის. ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI),[1] „კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამაში“ მონაწილეობისთვის, რამაც ძლიერ მისცა ხელი ნაშრომის კონცეფციის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით, სპიკერებ გიორგი ხიშტოვანს, სულხან სალაძეს, ნატალია გოდერძიშვილს, ნაშრომისთვის საინტერესო ინფორმაციის მოწოდებისთვის, აგრეთვე დავით მაისურაძეს, მასალების მუდმივი ხემისაწვდომობის და პროცესის ადმინისტრირების ორგანიზებისთვის.

[1] ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტი IDFI ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია, საზოგადოების ინფორმირებისა და გაძლიერების ხელშეწყობით, დემოკრატიული მმართველობის უზრუნველყოფა.